დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108253635**

თარიღი:**29/12/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარით) ელექტრონულ აუქციონზე გატანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა.“ და ,,ე.ე.“ ქვეპუნქტების, მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებით დამტკიცებული წესის, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის Nგ-109.1092251491 განკარგულების ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გატანილ იქნას, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონულ აუქციონზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (წინამდებარე ბრძანების დანართი N1 და N2-ით განსაზღვრული საკადასტრო ერთეულები).

2. ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე WWW.eauction.ge.

3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2025 წლის 30 დეკემბრიდან 2026 წლის 23 იანვრის 17:00 საათის ჩათვლით.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულია გადაწყვეტილება აუქციონის გზით იჯარით გადაცემის თაობაზე, უნდა გაიცეს 2 (ორი) კალენდარული წლის ვადით 2028 წლის პირველ იანვრამდე.

5. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით უნდა წარუდგინოს 2026 წლის პერიოდზე საიჯარო ქირის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ ამ დოკუმენტის წარდგენის და დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის განხორციელების დადასტურების შემდეგ ენიჭება მოსარგებლეს მიწის ნაკვეთ(ებ)ით სარგებლობის უფლება. მომდევნო წლის (2027 წლის სარგებლობის პერიოდზე) საიჯარო ქირა უნდა გადაიხადონ არა უგვიანეს საიჯარო 2027 წლის 01 აპრილისა, საიჯარო ქირის სრულად გადაუხდელობა ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და წარმოადგენს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველს.

7. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და

გამოუხმობი ელექტრონული საბანკო გარანტია/„ბე“ აუქციონში გამარჯვებულ პირს ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო (2027) წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირს უფლება არ აქვს სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთ(ებ)ი მესაკუთრის (დმანისის მუნიციპალიტეტის მერია) წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს სარგებლობის უფლებით. მოსარგებლე ვალდებულია სარგებლოაში გადაცემული მიწის ნაკვეთ(ებ)ი გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. მიწის ნაკვეთ(ებ)ის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მესაკუთრე უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება.

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თემური ზურაბიშვილი.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი